საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაცია

29.03.2026

შ ე ჯ ი ბ რ ე ბ ი ს დ ე ბ უ ლ ე ბ ა

“საქართველოს ჩემპიონატი აღმართის დაძლევაში“

I ეტაპი

თბილისი

1. შეჯიბრების პროგრამა

1.1. მონაწილეთა რეგისტარციის დასრულების თარიღი 27.03.2026 21:00

29.03.2026

1.2. ადმინისტრაციული კონტროლი/ტექნიკური დათვალიერება 10:00 სთ. – 11:15სთ.
ადმინისტრაციული კონტროლისა და ტექ. დათვალიერების ადგილი

- ბრიფინგი *(ადმინისტრაციული კონტროლისა და ტექ.დათვალიერების ადგილი)* 11:30 სთ.
- **ჩემპიონატის გახსნის ცერემონია** 12:00 სთ.
- ვარჯიში 1– სტარტი 12:30 სთ.
- ~~ვარჯიში 2 – სტარტი 13:30 სთ.~~
- რბოლა 1 – სტარტი 13:30 სთ.
- რბოლა 2 – სტარტი 14:30 სთ.
- რბოლა 3 – სტარტი 15:30 სთ.
- წინასწარი შედეგები 16:30 სთ.
- დაჯილდოება 17:00 სთ.

2. შეჯიბრების ორგანიზატორი, ოფიციალური პირები

2.1. შეჯიბრების ორგანიზატორი:

ა.(ა).ი.პ. "საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაცია"

- **მისამართი:** საქართველო, ქ. თბილისი, ველის ქუჩა №3.
- ელ. მისამართი: info@gasf.co

საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე: ~~ოთარ თავართქილაძე მობ.: +995 591 88 88 87~~
შოთა მამრიკიშვილი - ტელ. 577777083

2.2. ოფიციალური პირები:

შეჯიბრების ხელმძღვანელი:	არჩილ ნოდაშვილი
შეჯიბრების ხელმძღვანელის დამხმარე:	**შოთა კაპანძე**
სსსფ სპორტული კომისარი:	ოთარ თავართქილაძე
სპორტული კომისარი	მევლუდი მელაძე
სპორტული კომისარი	დავით ნებიერიძე
დამკვირვებელი სსსფ-დან	TBA
უსაფრთხოების კომისარი:	TBA
მთავარი ტექ. კომისარი:	**მანუჩარ ომანაძე**
მთავარი ქრონომეტრაჟისტი:	ხათუნა ჯულაყიძე
შეჯიბრების მდივანი:	ფატი სალუქვაძე

3. შეჯიბრების ტრასა

- დისტანცია (საქართველოს ჩემპიონატი) - 3.5 კმ.
- შეჯიბრის ხანგრძლივობა - ~~8~~ 7 სთ.

4. შეჯიბრების პირობები

4.1. შეჯიბრება ტარდება საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის (სსსფ) სპორტული კოდექსის, აღმართის დაძლევის ეროვნული რეგულაციების და ტექნიკური მოთხოვნების მიხედვით შემდეგ კლასში

კლასი	კუბატურა
კლასი A	**1900სმ³-ის ჩათვლით**
კლასი B	**1901სმ³-დან 3000სმ³-ის ჩათვლით**
აბსოლუტი	**3000სმ3-ზე მეტი კუბატურის ავტომობილები (ასევე კლასი A და B)**

შენიშვნა:
კლასში აბსოლუტი ასევე დაიშვება ღია თვლებით აღჭურვილი ავტომობილები სსსფ-ის ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად.

4.2. მრბოლელს უფლება აქვს განაცხადი გააკეთოს შეჯიბრების დებულების შესაბამისად (ქვეპუნქტი 4.1.) რეგისტრირებულ ნებისმიერ ერთ კლასში.

4.3. ავტომობილი უნდა აკმაყოფილებდეს იმ კლასის ტექნიკურ მოთხოვნებს, რომელშიც არის გაკეთებული განაცხადი ან გაცხადებული კლასი უნდა იყოს მაღალი.

მრბოლელს უფლება აქვს განაცხადი გააკეთოს მისი ავტომობილის შესაბამისი კლასის ზედა კლასში.

4.4. ორგანიზატორს უფლება აქვს შეუცვალოს მრბოლელს გაცხადებული კლასი, თუ მისი სპორტული ავტომობილი არ აკმაყოფილებს გაცხადებული კლასის ტექნიკურ მოთხოვნებს. ასევე ორგანიზატორი იტოვებს უფლებას მიანიჭოს საასპარეზო კლასი იმ მრბოლელს, რომელსაც არ აქვს ან არასწორად აქვს შერჩეული საასპარეზო კლასი (მათ შორის რბოლის დასრულების შემდეგ, შედეგების ოფიციალურ გამოქვეყნებამდე).

4.5. მრბოლელები, ჩათვლას იღებენ მის მიერ გაცხადებულ კლასში **და აბსოლუტ კლასში**.

4.6. იმ შემთხვევაში, თუ გაცხადებული კლასი არ შედგა (კლასი არ შემდგარად ითვლება თუ ვერ სრულდება 4.9. ქვეპუნქტი), მრბოლელი ავტომატურად იღებს ჩათვლას აბსოლუტურ კლასში;

4.7. მონაწილე ავტომობილები უნდა აკმაყოფილებდნენ ფედერაციის მიერ გამოცემულ ყველა დამატებით რეგულაციას და დადგენილებას.

4.8. კლასი შემდგარად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულში ტექნიკურ კომისიას გაივლის, შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მიეცემა და სტარტზე იდგება მინიმუმ **3** (სამი) მრბოლელი (სპორტული ავტომობილი).

4.9. ერთი სპორტული ავტომობილით ასპარეზობის უფლება აქვს მხოლოდ ერთ მრბოლელს.

4.10. სტარტზე განლაგებულ ყველა სპორტულ ბოლიდს წინა საქარე მინაზე უნდა ჰქონდეს განთავსებული ტექნიკური კომისიის გავლის დამადასტურებელი აღნიშვნა. წინააღმდეგ შემთხვევაში მრბოლელი მოიხსნება შეჯიბრებიდან.

4.11. სასტარტო თანმიმდევრობა გამოქვეყნდება დამატების სახით და დასტურება შეჯიბრების კომისრის მიერ

4.12. სარბოლო მონაკვეთის შეჯიბრებისთვის მზადყოფნას ადასტურებს რბოლის უსაფერთხოების კომისარი ან დელეგატი

4.13. უსაფრთხოების ავტომობილი რბოლის სტარტის წინ (ყოველი გარბენი) ამოწმებს სარბოლო მონაკვეთის მზადყოფნას გარბენისათვის რასაც უდასტურებს შეჯიბრების ხელმძღვანელს.

4.14. მონაწიეთა რეგისტრაცია მიმდინარეობს სსსფ-ს ვებგვერდზე www.gasf.ge ან www.gasf.co

5. შეჯიბრების წესები

5.1. სტარტი: მსაჯის მითითებით შუქნიშნის მწვანე შუქის მოქმედების (მწვანე შუქის ანთებიდან 20 წამის განმავლობაში) პერიოდში ავტომობილი უნდა დაიძრას და დატოვოს ტერიტორია "ზონის დასასრული", დრო ფიქსირდება ფოტო სხივით. თუ ავტომობილი ვერ დაიძრა მწვანე შუქნიშნის მოქმედების პერიოდში, უნდა დატოვოს სასტარტო ზონა თავისი სვლით ან გარეშე პირთა დახმარებით. თუ ავტომობილი დაიძრა შუქნიშნის მწვანე შუქის ანთებამდე ან მისი ჩაქრობის შემდეგ, მისი გავლის დრო იქნება ანულირებული.

5.2. მონაწილეები სტარტს იღებენ 1 წუთის ინტერვალით (სარბოლო მონაკვეთის სპეციფიკიდან გამომდინარე, ინტერვალი შესაძლებელია შეიცვალოს შეჯიბრების ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით)

5.3. ფინიში: ზოლის გადაკვეთით (ფოტო ფინიში). ფინიშის გადაკვეთის შემდეგ მრბოლელები გადიან სავალდებულო ტექნიკურ შემოწმებას და ავტომობილებს განალაგებენ ორგანიზატორის მიერ მითითებულ ტერიტორიაზე.

5.4. რბოლა: მონაწილეს აქვს დისტანციის გავლის უფლება 4-ჯერ, მათ შორის პირველი გავლა არის ვარჯიში.

5.5. დისტანციის გავლის ყველა მცდელობა აითვლება სტარტიდან ფინიშის ჩათვლით.

5.6. შედეგიან დროდ ითვლება 3 (სარბოლო გავლა) გავლიდან საუკეთესო დრო.

5.7. შეჯიბრება შედგება 3 სტარტისგან და 3 ფინიშისგან.

5.8. შეჯიბრებაში ჩათვლის მისაღებად მრბოლელი ვალდებულია შეასრულოს პროგრამა მინიმუმი: სტარტის 2 და ფინიშის 2 (მინიმუმ ერთი სრული სარბოლო გავლა).

5.9. ორგანიზატორი იტოვებს უფლებას, შეჯიბრების მიმდინარეობის პერიოდში მონაწილეს შეუცვალოს სასტარტო რიგითობა.

5.10. სარბოლო გავლებს შორის შესაძლებელია მოხდეს გადაჯგუფება

5.11. ტურბინით აღჭურვილ ავტომობილებს აკრძალული აქვთ ინტერქულერის წყლით გაგრილების პროცედურა სასტარტო ზონაში. სასტარტო ზონად ითვლება სტარტის მოლოდინში მდგარი 4 ავტომობილისთვის გამოყოფილი ტერიტორია. ასეთი ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში მრბოლელს გაუუქმდება იმ გარბენის დრო, რომელზეც დაფიქსირდება აღნიშნული ფაქტი.

5.12. მიმდინარე ეტაპზე დაშვებულია მხოლოდ 3 (სამი) (გარდა უსაფრთხოების ავტომობილისა) სარბოლო მონაკვეთის შემმოწმებელი ავტომობილი. თითოეულ ასეთი ავტომობილი უნდა აკმაყოფილებდეს სსსფ-ს ტექ.კომისტრის მოთხოვნებს და აუცილებლად უნდა გაიაროს ტექნიკური შემოწმება რბოლის ტექ. კომისართან.

6. მონაწილე ავტომობილები

6.1. შეჯიბრებაზე დაშვებულია ავტომობილები თანახმად შეჯიბრების ტექნიკური მოთხოვნებისა.

6.2. ავტომობილზე დაშვებულია სპონსორის და სპორტული აქსესუარების რეკლამირება ნებისმიერ ადგილას, გარდა ხედვითი და წინა გვერდითი შუშებისა და იმ ადგილებისა, რომელიც განკუთვნილია ორგანიზატორისთვის.

7. პროტესტები

7.1. პროტესტები მიიღება მხოლოდ მონაწილის (Competitor) ლიცენზიის მქონე პირისგან წერილობით ფორმით შეჯიბრების ხელმძღვანელის სახელზე შეჯიბრების მსვლელობისას ან წინასწარი შედეგების გამოცხადებიდან 30 წუთის განმავლობაში ფულადი დეპოზიტის დადასტურებით.

7.2. პროტესტის სფასური – 300 ლარი.

7.3. პროტესტის თანხა მთლიანად ან ნაწილობრივ უბრუნდება განმცხადებელს პროტესტის გამართლების შემთხვევაში.

8. შენიშვნები და განმარტებები

8.1. საორგანიზაციო კომიტეტს უფლება აქვს შეიტანოს დამატებები და ცვლილებები ასპარეზობის რეგლამენტში, წინასწარი ან საერთო განცხადების სახით.

8.2. ორგანიზატორი უფლებამოსილია გადაიტანოს ან შეწყვიტოს შეჯიბრება ფორს-მაჟორული ან ორგანიზატორისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. აღნიშნულის შემთხვევაში არ აგებს პასუხს მიყენებულ მორალურ და მატერიალურ ზარალზე.

9. შედეგების განსაზღვრა

9.1 რბოლის საბოლოო შედეგები განისაზღვრება თითოეული მონაწილის მიერ ნაჩვენები შედეგებიდან ერთი საუკეთესო დროის მიხედვით.

10. დაჯილდოება

შეჯიბრების დასრულების შემდგომ პრიზიორები ჯილდოვდებიან იმ კლასში, რომელშიც აქვთ გაკეთებული განაცხადი და აბსოლტურ ჩათვლში (OverAll). ულადი ჯილდოს რაოდენობა გამარჯვებულებისათვის გამოქვყნდება დამატებით

კლასებში გამარჯვებულები:

I ადგილი – მედალი, დიპლომი, თასი;
II ადგილი – მედალი, დიპლომი;
III ადგილი – მედალი, დიპლომი;

აბსოლუტურ ჩათვლაში გამარჯვებულები:

I ადგილი – მედალი, დიპლომი, თასი;
II ადგილი – მედალი, დიპლომი;
III ადგილი – მედალი, დიპლომი;